



შ.პ.ს. „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“
თბილისი, ზ. კახიძის 15
ტელ: 322 424 002
contact@xsg.ge | www.xsg.ge

შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს.**

სარჩევი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6-18

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარიში)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	1,834,485	1,834,485
არამატერიალური აქტივები	5	70,637	70,698
ინვესტიცია სხვა საზოგადოებაში	10	1,628,163	1,628,163
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,533,286	3,533,347
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	301,435	427,323
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	478,493	1,716,271
მარაგები	8	90,041	228,834
სხვა		1,317,348	
წინასწარ გადახდილი გადასახადები		14,692	
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,202,009	2,372,428
სულ აქტივები		5,735,295	5,905,775
მოთიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,780,515	1,780,515
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,900,761	1,606,581
სულ კაპიტალი		3,681,276	3,387,096
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	1,367,109	1,443,566
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,367,109	1,443,566
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	11	150,000	250,000
საეაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	467,801	428,113
საგადასახადო ვალდებულებები		69,110	64,347
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		686,911	742,460
სულ ვალდებულებები		2,054,020	2,186,026
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		5,735,295	5,573,122

შპს "ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია"

კონსოლიდირებული მოგება - მარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	4,589,030	4,174,565
თვითღირებულება	13	(58,129)	(188,995)
საერთო მოგება		4,530,901	3,985,569
სხვა შემოსავლები		220,000	179,250
მოგადი და აღმინისგრაფიული ხარჯი	15	(4,013,467)	(3,456,129)
სხვა ხარჯები	14	(19,847)	(15,011)
საოპერაციო მოგება		717,587	693,679
ფინანსური შემოსავალი			
ფინანსური ხარჯი	16	(144,812)	(37,495)
წმინდა სავეალეტო მარალი/მოგება		(58,595)	(28,408)
მოგება დაბეგვრამდე		514,180	627,776
მოგების გადასახადი	17		(40,338)
წმინდა მოგება		514,180	587,438

მთლიანი სრული შემოსავალი:

514,180	587,438
----------------	----------------

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	1,780,515	0	1,407,724	3,188,238
წმინდა მოგება	0	0	587,438	587,438
სხვა სრული შემოსავალი	0			0
პერიოდის სრული შემოსავალი	0	0	587,438	587,438
გაცემული დივიდენდი	0	0	(388,581)	(388,581)
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2023 წლის 31 დეკემბერი	1,780,515	0	1,606,581	3,387,096
2024 წლის მდგომარეობით				
წმინდა მოგება			514,180	514,180
სხვა სრული შემოსავალი				
პერიოდის სრული შემოსავალი				
გაცემული დივიდენდი			(220,000)	(220,000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა				
2024 წლის 31 დეკემბერი	1,780,515		1,900,761	3,681,276

შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“ 2024 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“ (შემდეგში კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 16 დეკემბერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404462283. კომპანიის იურიდიული/ფაქტიური მისამართია: ქ. თბილისის, ძველი თბილისის რაიონი, ჯ. კახიძის ქ., N 15 /ქ. თბილისის წერეთლის N2. კომპანიის და მისი შვილობილი კომპანიის „შპს ქლაუდ ცხრის“ საიდენტიფიკაციო ნომრით 405063755 ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები.

კომპანიის წილის მფლობელები არიან: 50% იანი წილის მფლობელი კონსტანტინე ქაროსანიძე პ/ნ 01001021716; 50% იანი წილის მფლობელი თეონა მარგაშვილი პ/ნ 01005011168;

კომპანიის დირექტორია თეონა მარგაშვილი პ/ნ 01005011168;

შპს „ექსპერტ სოლუშენს ჯორჯია“ წარმოადგენს მისი შვილობილი კომპანიის შპს „ქლაუდ ცხრა“-ს 100% წილს, რომელსაც კონსოლიდაციის მიზნებისთვის აღიარებს, როგორც მაკონტროლებელ წილს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, 2024 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე 2024 წლის კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას და 2024 წლის კონსოლიდირებული კაპიტალში მომხდარი ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის ახსნა განმარტებით შენიშვნებს;

3. კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილ კომპანიას წარმოადგენს ისეთი საწარმო, სადაც დედაკომპანიას გააჩნია საარჩევნო ხმების რაოდენობის ნახევარზე მეტი ან შესწევს უნარი აკონტროლოს ამ კომპანიის ოპერაციები და ფინანსური აქტივები. ამ შემთხვევაში ხდება კონსოლიდაცია. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ დღიდან, როდესაც დედა კომპანიაზე გადავიდა კონტროლი და წყდება იმ დღეს, როდესაც დედა კომპანია კარგავს ამ კონტროლს. ყველა შიდა-ჯგუფური გრანზაქცია და ნაშთი ამ კომპანიებს შორის იქნითება.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა
(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) გრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ბარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ბარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2024 წლის 31 დეკემბერს და უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

გერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას. ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და აღგილი ექნება გაუფასურების გამომწვევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიგრენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო

და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების მარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-მარალში.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა; ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და მარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეგო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეგო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცემა ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურება და რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების გარეული დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან გარეულში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეგო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების გრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, გრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება ფიფო მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან გარეული ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული გიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა.

შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით; ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
ელექტრო გადაცემის მოწყობილობები	2-10
მანქანა-დანადგარები	3-20
დამხმარე მოწყობილობები და ხელსაწყოები	2-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-10
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	3-15
ოფისის აღჭურვილობა	3-10
კომპიუტერული ტექნიკა პერიფერიული მოწყობილობები	3-10

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის გარდება ძირითადი საშუალებების და არამაგერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ

აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების მარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან მარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან მარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელია. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან. მოგება—მარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების მრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიგანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია – აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• **ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები** - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

• **მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები** - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

• **სასამართლო დავები** - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. იქ, სადაც რომელიმე კრიტერიუმი არ კმაყოფილდება, პირობითი ვალდებულება შეიძლება იქნას გაშიფრული ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში. ნებისმიერი პირობითი ვალდებულების დადგომას, რომლის აღიარება ან გაშიფვრა ფინანსურ ინფორმაციაში ჯერ არ მომხდარა, შეიძლება ქონდეს არსებითი გავლენა ფინანსურ ინფორმაციაზე. აქედან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობისგან აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს არსებულ თუ მომავალ სასამართლო დავებთან დაკავშირებით. კომპანია განიხილავს ყოველ მიმდინარე სასამართლო დავას და აფასებს მის შედეგებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის, რათა განსაზღვროს საჭიროა თუ არა შესაბამისი ანარიცხის შექმნა. შეფასების დროს გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: დავის ხასიათი, მომჩივანია თუ მოპასუხე, სასამართლო პროცესის მიმდინარეობა და პოტენციური გარალის დონე, იურისტების მიმოხილვა და რჩევები, გამოცდილება მსგავსი შემთხვევებიდან და სხვა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია სასამართლო დავები.

შენიშვნა -4

ძირითადი საშუალებები

	ელექტრო- გადაცემის მოწყობილ ობები	მანქანა- დანადგარ ები	დამხმარე მოწყობილ ობები და ხელსაწყო ები	ოფისის აღჭურვი ლობა	კომპიუტერ ული ტექნიკა და პერიფერიუ ლი მოწყობილ ობები	ავეჯი და სხვა ინვენ ტარი	იჯარით აღებული ქონების კეტილმოწ ყობა	საგრან სპორტ ო საშუა ლებები	ჯამი
ლარში									
2022 წლის ბოლოს მდგომარეობით	295,375	621,507	3,010	105,317	377,524	9,757	113,904	-	1,526,395
შესყიდვა	76,848	53,752	3,712	53,193	137,259	758	-	8,542	334,063

გასვლა 922 7,440 8,362

გაუფასურება

შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია

გადაფასების რემერვი

2023 წლის

მდგომარეობით

371,301 675,259 6,722 158,510 507,344 10,514 113,904 8,542 1,852,096

დაგროვილი ცვეთა

ცვეთის ხარჯი

59,952 131,062 1,687 19,226 113,799 4,906 18,921 712 350,265

გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა

ლარში

2023 წლის ბოლოს

მდგომარეობით

311,350 544,197 5,035 139,284 393,545 5,608 94,984 7,830 1,501,832

შესყიდვა

87,278 86,312 559 22,373 178,264 1,936 344,236 - 720,957

701

გასვლა

3,825 4,605 9,131

გაუფასურება

შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია

გადაფასების რემერვი

2024 წლის

მდგომარეობით

397,927 626,685 5,594 161,657 567,203 7,544 439,219 7,830 2,213,658

დაგროვილი ცვეთა

ცვეთის ხარჯი

76,637 126,901 2,167 20,195 131,905 3,915 16,231 1,220 379,173

გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა

2024 წლის ბოლოს

მდგომარეობით

321,290 499,783 3,427 141,462 435,298 3,628 422,988 6,610 1,834,485

საბალანსო ღირებულება

2024 წლის ბოლოს

321,290 499,783 3,427 141,462 435,298 3,628 422,988 1,834,485.49

შენიშვნა-5

არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები		
	ი	სხვა	ჯამი
დაგროვილი ამორტიზაცია			
2022 წლის ბოლო	755		877
შემოსვლა	70,004		
გასვლა			
2023 წლის			
მდგომარეობით	70,759		
პერიოდის			
ამორტიზაციის ხარჯი	61		
გასულის დაგროვილი ამორტიზაცია			
2023 წლის ბოლოს	70,698	-	-
შემოსვლა	-		
გასვლა			

2024 წლის			
მდგომარეობით	70,698	-	-
პერიოდის			
ამორტიზაციის ხარჯი	61		
გასულის			
დაგროვილი			
ამორტიზაცია			
2024 წლის ბოლოს	70,637		

შენიშვნა-6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31.12.2024	31.12.2023
ფული საღაროში		-
ფული საბანკო ანგარიშებზე	301,435	427,323
	301,435	427,323

შენიშვნა-7 საფაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
საფაჭრო დებიტორული დავალიანებები	287,611	205,882
საექვო ვალების ანარიცხების რეზერვი		
სხვა მოთხოვნები	190,882	1,510,388
	478,493	1,716,271

შენიშვნა-8 მარაგები

ლარში	31.12.2024	31.12.2023
სხვა	1,317,348	77,624
მარაგები	90,041	151,211
	1,407,389	228,834

შენიშვნა-9 საფაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31.12.2024	31.12.2023
საფაჭრო ვალდებულებები	123,478	107,591
სხვა ვალდებულებები	344,322	320,522
	467,801	428,113

შენიშვნა-10 ინვესტიცია

	31.12.2024	31.12.2023
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	1,628,163	1,628,163

1,628,163

1,628,163

შენიშვნა-11

სესხები

ლარი	გრძელვადიანი	მოკლევადიანი
	31.12.2024	31.12.2024
ბანკის სესხები	1,367,109	150,000
დაკავშირებული მხარეების სესხები		
ოვერდრაფტები		
სულ სესხები	1,367,109 -	150,000

მოკლევადიანი სესხის დაფარვის ვადა არის 2025 წლის ივნისი.
საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 14.8%-ს.

გრძელვადიანი სესხის დაფარვის ვადაა 2033 წლის დეკემბერი. საპროცენტო
განაკვეთი შეადგენს წლიურ 8.8%-ს.

შენიშვნა-12

ამონაგები

ლარი	31.12.2024	31.12.2023
მომსახურების რეალიზაცია	4,466,702	3,852,896
საქონლის რეალიზაცია	122,327	321,669
	4,589,030	4,174,565

შენიშვნა-13

თვითღირებულება

ლარი	31.12.2024	31.12.2023
საქონლის თვითღირებულება	58,129	188,995
	58,129	188,995

შენიშვნა-14

სხვა ხარჯები

ლარი	31.12.2024	31.12.2023
მოგების გადასახადის ხარჯი -კანონმდებლობის თანახმად		
ქონების გადასახადი	19,846.72	15,011.04
	19,847	15,011

შენიშვნა-15

მოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
შრომის ანაზღაურება	1,417,497	1,247,453
ცვეთა და ამორტიზაცია	379,234	349,858
ლიცენზიების ხარჯი	412,384	497,911.77
კომუნალური ხარჯი	368,028	330,256.55
საგადასახადო ხარჯი	-	
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	111,664	56,530.94
საკონსულტაციო ხარჯი	48,625	40,852.97
ბანკის მომსახურება	25,395	27,276.06
წარმომადგენლობითი ხარჯები	5,402	9,895.69

იჯარის ხარჯი	193,387	182,442
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	160,950	55,680.56
სამიწისფერი ხარჯი	19,389	112,535.81
კომუნიკაციის ხარჯები	871,513	545,436.13
	4,013,467	3,456,129

შენიშვნა-16

ფინანსური ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
ბანკის სესხის პროცენტი	144,812	37,495
დაკავშირებული მხარის სესხის პროცენტი		
სხვა ფინანსური ხარჯები	144,812	37,495

შენიშვნა-17

მოგების გადასახადის ხარჯი

ლარი	31.12.2024	31.12.2023
მიმდინარე მოგების ხარჯი		(40,338)
		(40,338)

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს აღგილი არ ქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2025 წლის 30 სექტემბრით.

დირექტორი: